

ყოველკვირეული დაიჯესტი
ტერორიზმსა და ძალადობრივ
ექსტრემიზმში

30 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2023

კატარი მძევალთა კრიზისის წინააღმდეგ

დოჰაში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ანტონი ბილკენსა და კატარის ემირს, შეიხ ტამიმ ბინ ჰამად ალ ტანიმს შორის გამართულ შეხვედრაზე, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ კატარი მზად არის კრიზისის მოგვარების შემდეგ ჰამასის კატარში არსებობა დაუშვას, რისი ერთადერთი მიზანიც, დატყვევებული ადამიანების მშვიდობიანი დაბრუნება და გათავისუფლება იქნება. ამერიკასთან ერთად, კატარი ისრაელთან და ჰამასთან მშვიდობიან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა დაახლოებით 200 მძევლის დახსნა მოხდეს.

27.10.2023

დაპირისპირება ისრაელსა და ჰეზბოლას შორის

სახმელეთო და საჰაერო დაპირისპირება ისრაელსა და ლიბანის ჰეზბოლას შორის გრძელდება. ტერორისტულ ორგანიზაცია ჰეზბოლას განცხადებით, ისრაელმა ლიბანის სამხრეთით განახორციელა დრონით თავდასხმა, რომელიც საბოლოოდ ისრაელ-ლიბანის საზღვართან 5 კილომეტრში დაეცა. იმავე დღეს, ლიბანის ჰეზბოლას მიერ განხორციელებულ სარაკეტო თავდასხმაზე გააკეთა განცხადება ისრაელის მთავრობამ, რომლის მიხედვითაც საჰაერო თავდასხმის სამიზნე გალილეას დასავლეთ ნაწილი იყო.

30.10.2023

ისრაელის სპეცოპერაცია ლაზას მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე

ტერორისტულ ორგანიზაცია ჰამასის სამხედრო ბაზებისკენ მიმართულმა საჰაერო თავდასხმამ ლაზაში, ჯაბალის მჭიდროდ დასახლებულ რაიონს დაარტყა, რომელსაც ლაზას ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით ემსხვერპლა ათობით და დაშავდა ასობით ადამიანი. ისრაელის მთავრობის განცხადებით, ამ თავდასხმის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა იბრაჰიმ ბიარი, მეთაური რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შვიდი ოქტომბრის თავდასხმაში.

01.11.2023

ტერორისტული თავდასხმა ნიგერიაში

სულ მცირე ორმოცი ადამიანი ემსხვერპლა ნიგერიაში, სალამოს ცხრის ნახევარზე, იოზეს შტატში შეიარაღებულ თავდასხმასა და აფეთქებას. თავდამსხმელმა, რომელიც სავარაუდოდ ტერორისტულ ორგანიზაცია ბოკო ჰარამის (ქართ. „დასავლური განათლება აკრძალულია“) წევრია, შეიარაღებული თავდასხმისას მოკლა ჩვიდმეტი ადამიანი, ხოლო ნაღმის აფეთქებას

ემსხვერპლა სულ მცირე 20 ადამიანი.

01.11.2023

ჰუმანიტარული პაუზა ღაზაში

ისრაელის სახმელეთო ჯარებმა „ღაზას ქალაქის კარიბჭეს“ მიაღწიეს, რის შემდეგაც, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის რჩევით, „ჰუმანიტარული პაუზა“ აიღეს, რასაც მოჰყვა ასობით უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ათობით მძიმედ დაზარალებული პალესტინელის მიერ ღაზას საზღვრის დატოვება, სამ კვირიანი ალყის შემდეგ. დაპირისპირების თუნდაც დროებითი შეჩერება იქნება საშუალება, მოხდეს ჰამასის მიერ მძევლად აყვანილი ადამიანების განთავისუფლება და ღაზაში ჰუმანიტარული დახმარების შეყვანა.

02.11.2023